

შპს „სტრონგ ვოში“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
განმარტებით შენიშვნები	7-15

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	შენიშვნა	2024	2023	2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
პირითადი საშუალებები		1,986,758	561,299	379,840
არამატერიალური აქტივები		2,871	2,871	2,871
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,989,629	564,170	382,711
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები		300,819	107,486	8,983
სავაჭრო მოთხოვნები		40,443	183,276	167,475
გადახდილი ავანსები		269,663	268,789	192,940
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1,535,119	1,246,109	870,107
სხვა მიმდინარე აქტივები		113,676	933	933
სულ მიმდინარე აქტივები		2,259,720	1,806,592	1,240,438
სულ აქტივები		4,249,349	2,370,762	1,623,149
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		98	56,427	39,577
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		2,066,900	1,563,314	788,111
სულ საკუთარი კაპიტალი		2,066,998	1,619,741	827,688
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		45,359	210,103	133,002
მოკლევადიანი წასესხები სახსრები				
გრძელვადიანი წასესხები სახსრები		2,085,705	485,496	636,960
სხვა ვალდებულებები		51,288	55,423	25,499
სულ ვალდებულებები		2,182,351	751,021	795,461
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,249,349	2,370,762	1,623,149

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-15 გვერდებზე არაერთი შენიშვნები წარმოადგენს მოცემულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან		3,728,903	3,448,012
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,353,687)	(2,086,233)
საერთო მოგება		1,375,216	1,361,780
სხვა საოპერაციო შემოსავლები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(784,235)	(596,618)
ფინანსური შემოსავალი		-	-
საოპერაციო მოგება		590,981	765,162
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		(51,546)	10,224
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(35,849)	(183)
მოგება დაბეგვრამდე		503,586	775,203
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		503,586	775,203
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		503,586	775,203

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა		
მოშმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	4,514,003	3,592,019
მოწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(4,269,124)	(3,503,740)
სხვა შემოსავლები/(ზარგები)	(51,546)	10,224
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	193,333	98,503
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	193,333	98,503
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	107,486	8,983
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	300,819	107,486

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-15 გვერდებზე არჩეულ შენიშვნები წარმოადგენს მოცემულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შპს სტრონგ ვოში“


კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
 ნაშთი - 31.12.2022წ.	39577	788,111	827,688
2023 წლის წმინდა მოგება / (ზარალი)			
ნაშთი - 31.12.2023 წ.	56,427	1,563,314	1,619,741
2024 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი)			
ნაშთი - 31.12.2024 წ.	98	2,066,900	2,066,998

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-15 გვერდებზე არსებულ შენიშვნები წარმოადგენს მოცემულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს "სტრონგ ვოში" დაფუძნდა 2020 წლის 12 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არის :

- შოთა მეტრეველი (01019057682) 100%

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: შოთა მეტრეველი - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

-საპნის და სარეცხი საშუალებების საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება

-სამრეწველო ტექნიკის და მოწყობილობების დაყენება

-საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ კეკელიძის ქ. 6

მომზადების საფუძვლები ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის სტანდარტების) მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 26 აგვისტოს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- სასამართლო დავები. კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2.9753

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	15
ოფისის სტრუქტურა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10
მანქანა-დანადგარები	15

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „სტრონგ ვოში“-ის დამფუძნებელს შპს არსებობის მანძილზე არასოდეს არ მიუღის ფირმიდან მოგება. შესაბამისად არ გადაუხდია მოგების გადასახადი.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	მიწა	მანქანა დანადგარები	ავტო და სხვა ინვენტარი	ოჯარით აღებული ფართის კუთვლილობა	კომპიუტერი ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	არამატერიალური აქტივები	სხვა ამორტიზებული ძირ.საშ	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	57,574	152,105	45,830	16,773	101,263	2,938	37,863		3,529	855	418,730
შენიშვნა	116,095	135,171	1,305	2,762	4,486	331	180,771	1,192,683		18,364	1,651,968
გასვლა											-
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	173,669	287,276	47,135	19,535	105,749	3,269	218,634	1,192,683	3,529	19,220	2,070,698
დაგროვილი ცვეთა											
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	4,000		6,982	1,516	26,187	166			658	11	39,519
ცვეთა	9,984		5,637	2,069	20,701	393		1,789		977	41,550
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	13,984		12,618	3,585	46,888	559	-	1,789	658	988	81,069
საბალანსო ღირებულება											
საბალანსო ღირებულება 31.12. 2022	61,574	152,105	52,812	18,289	127,450	3,104	37,863	-	4,187	866	458,249
საბალანსო ღირებულება 31.12. 2024	159,686	287,276	34,517	15,950	58,861	2,709	218,634	1,190,894	2,871	18,232	1,989,629

ფულადი სახსრები ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

	2024	2023	2022
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	61681	39046	8619
ფული საბანკო ანგარიშზე (ევრო)	0	155	1
ექვ. ლარში			
ფული საბანკო ანგარიშზე (დოლარი) ექვ. ლარში	174	196	0
სულ	61855	39397	8620

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები

	2024	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	40443	183276	167475
გადახდილი ავანსები	269663	268789	192940
სხვა მიმდინარე აქტივები	113676	933	933
სულ	423782	452998	361348

შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი	2024	2023	2022
საქონლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	3 725693	3438736	3604970
მომსახურების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	3210	9276	424
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2 353687)	(2 086233)	(2670183)
სულ	1 375216	935 211	935211

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ადმინისტრაციული ხარჯები ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენაირად:

#	ხარჯების დასახელება	2024	2023
7310	რეკლამის ხარჯები	7735	10669
7311	უსასყიდლოდ მიწოდება (საჩუქარი)	13683	7786
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	309	1568
7410	შრომის ანაზღაურება	476212	295293
7415	სოციალური დანარიცხები	9540	6572
7420	საიჯარო ქირა	15576	25105
7425	მცირე ფასიანი იწვევტარი	1342	229
7426	საკანცელარიო ხარჯები	215	303
7427	კომუნალური გადასახადი	13621	14450
7430/1	ინტერნეტი	1848	873
7430/3	საოფისე-სამეურნეო ხარჯები	6115	1200
7430/4	დაცვა	59	
7435	კომუნიკაციის ხარჯები		325
7441	საწვავის ხარჯები	68701	53569
7445	რემონტის ხარჯები	32952	10288
7446	ავტომობილის ხარჯი	41384	35335
7450	კომპიუტერის ხარჯები	1268	755
7451	საკონსულტაციო ხარჯები	12293	11150
7452	ელ.მოწყობილობების რეციკლირება	75	69
7469	ბანკის მომსახურება (კონვერტაციის დროს)	15744	12598
7470	ბანკის საკომისიო	20672	14611
7475	მივლინების ხარჯები	6934	3878
7476	სამეურნეო ხარჯი	160	133
7485	წარმომადგენლობითი ხარჯები		25
7490/4	სხვადასხვა ხარჯები	3141	19064
8210/01	სესხის % ევროში	64123	44273
8280	უარყოფითი საკურსო სხვაობები	36243	
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2590	
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	23214	18336
7465	სხვა საგადასახადო ხარჯები	11045	8162
		886,797	596,618

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

პოტენციური ვალდებულებები ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპერაციებს, თუ ამ ოპერაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

12. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

13. სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები

კომპანია სარგებლობს თიბისი ბანკიდან და საქართველოს ბანკში აღებული სესხებით:

31.07.2024 წელს, თიბისი ბანკში სესხის ნაშთი თანხით 134 740,11 ევრო გადაიფარა და გაფორმდა ხელშეკრულება 312 000 ევროზე 950 560,61 ექვ.ლარში.

31.12.2024 წლის მდგომარეობით დასაფარი სესხი თიბისი ბანკში შეადგენდა 290 286,14 ევროს 850712,56 ექვივალენტი ლარში.

29.11.2024 წელს საქართველოს ბანკში გაფორმებული ხელშეკრულებით, მივიღეთ სესხი შენობის შესაძენად 440 000 აშშ დოლარის 1 206 392 ექვ.ლარში ოდენობით,

31.12.2024 წლის მდგომარეობით საქართველოს ბანკში სესხის თანხა შეადგენდა 440 000 აშშ დოლარს 1 206 392 ექვივალენტი ლარში.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

2025 წლის 18 თებერვალს დარეგისტრირდა შვილობილი კომპანია შპს „ჯეოსტილი 2020“ (ს/კ 400422155), 100%-იანი წილით.

კომპანიის დირექტორზე გაცემული შრომის ანაზღაურება წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

დირექტორზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023	2022
შრომის ანაზღაურება მთლიანად	14200	14080	5880